# სახალხო გაზეთი

გაზეთის ფასი:

| | გაგზავნით თფილისში გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელად: |
|---|---|---|
| ერთი წლის | — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლის | — 3 — | — 2 მ. — |
| სამი თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. — |

მეოთხე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის-მოწერა მიიღება.

თფილისის «სახალხო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე, სატისოვის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Дубелира (Г. Церетели и К°)

№ 2 შაბათი — IV — 30 იანვარი, 1871 წ.


### შ ი ნ ა ა რ ს ი


ამხანაგობის ძალა: — რა რიგათ მოიპოვება მი-
ა წყალი. — შრომის მოყვარეობა დიდი ძალაა. —
ამდენიმე ცნობა ყვავილით ავათმყოფობაზე. — ჩაი-
ის კარგი მოქმედება ავათმყოფზე. — საქონლის
ადამდები ავათმყოფობანი: — თურქული. — არაყის
ს რითაა საშიში. ლარიბი და არაყი. ლოთო-
ს შედეგი. — ბიბლიოგრაფიული განცხადება.


## ამხანაგობის ძალა

### რა რიგათ მოიპოვება მიწა-წყალი?

IV

ერთი მეორეზე რომ ვიანგარიშოთ, ჩვენში, და ანსაკუთრებით თფილისის გუბერნიაშია, თითო ოფელში ოც და თუთხმეტი კომლი ცხოვრობს; თითო კომლში, აგრეთვე ერთი მეორეზე რომ ნავაგოთ, ერთი სული კაცი და ქალი იპოვება.

კანონი ამ კომლებს ერთად შეერთების ნებას ლევს და თვითონაც სხვა-და-სხვა ცალკე სოფლებს რთებს, ერთი «სასოფლო სასამართლოს» დასახებლად. სასოფლო სასამართლოს კანონი ნებას ლევს სხვა და სხვა შენობები და უძრავი ქონება იძინოს, მაგალითად. ვსთქვათ, სასოფლო სასწავლებლის სახლი, სასამართლოსი და სხვ. და სხვ. — უძრავი ქონების მეტის გარდა, სოფლებს ბევრი სხვა უფლებაც აქვსთ, მაგალითად მასწავლებლის რაობა, სოფლის ხარჯის გაცალცალკევება და სხვ. იმას ნიშნავს, რომ სოფელს შეუძლია რომელიმე კერძო პირიდგან, — თავად-აზნაურიდან გარ თუ გლეხ-კაციდან, — მიწის ყიდვა, შეუძლია სხვა და სხვა მოძრავი ქონების შეძენა და ყიდვა, ვთქვათ, ქვის, ფიცრის, კრამიტის და სხვ; შეუძლია სხვა და სხვა ოსტატების ქირაობა, სახლის ან გალავნის გასაკეთებლათ, და ამას შემდეგ შეუძლია იმ სახლის საერთოთ მოხმარება, სასწავლებლათ, სასამართლოთ, საბაზროთ თუ ბევრი სხვა საქმისთვის. ამის ყოველიფრის ნება სოფელს მინიჭებული აქვს კანონისგან.

რისთვის მიუნიჭებია კანონს ეს ნება და ეს უფლება, და რა გავლენა აქვს ამ მინიჭებას?

ავიღოთ თვითოეული ოჯახი, რომელიც შეკვსი სულიდან არის შემდგარი, ერთი მოხუციდან, ერთი ცოლქმრიდან და სამი ბავშვიდან. ეს მაგალითი ჩვენ აქ მისთვის მოვიყვანეთ, რომ ოჯახი, საზოგადოთ რომ თქვას კაცმა, ამნაირათ შემდგარია. ამ ოჯახში მომუშავე პირი ორივე ცოლ-ქმარია და მათ მუშაობას სანდისხან მოხუცებული მამა ან დედა ეხმარება და უფრო იშვიათათ — ერთი და ერთი მოზრდილი შვილი. მოხუცს რჩენა უნდა, ბავშვებს მოვლა და აღზრდა. ვინ მოუვლის ან ერთს, და ან მეორეებს? მამა უმეტესს ნაწილათ ყანაშია, ან ტყეში, ან და სხვა მუშაობაში, სახლს გარეთ. შინაც იმას ხან საქმე აქვს შესაკეთებელი, ხან ღობე აქვს შემოსაწნელი, ხან რა და ხან რა. ისე, რომ იმას ბავშვებისთვის და მოხუცებულისთვის არ სცალია. დარჩა მისი ცოლი, რომელიც ნიადაგ საჭმელის მომზადებას ტანსაცმელს, დაკერებას და შეკერვას, საქონლის ყურის გდებას და სხვა უთვალავ შინაურ საქმეებს უნდება. ამის გამო, ბავშვების მოვლა მისთვის ძლიერ ძნელია. ეს სიძნელე მით უფრო დიდდება, რომ მოვლის გარდა ყმაწვილს სწავლაც უნდა და თვითონ დედა სრულიად გამზდელი და უმეცარია, — მაშასადამე ბავშვები ყურის უგდებლად და უსწავლელათ უნდა დარჩეს, აგრეთვე როგორც მოხუცებული.

მსგავსი მდგომარეობის გასაადვილებლათ, განათლებულ ქვეყნებში, სადაც ხალხი გონიერს და წესიერს სიცოცხლეს შეეჩვია, მოიგონეს ორი საშუალება. ერთი საშუალება საერთო სახლის გამართვა, სადაც თავს იყრიან სიმთელისთვის ყმაწვილები და სადაც მათ უვლის და ასწავლის ერთი ან ორი ანა და სამი მასწავლებელი. ყმაწვილები თავ თავის სახლებში რომ დარჩენილიყვნენ, იმათ სამი მასწავლებელი ვერაფრათ აუვიდოდა, ვერც სუთი, ვერც ათი. მაგრამ ერთად შეკრებილ, ერთათ მოსწავლე ყმაწვილებს ათს და ოცს კაცს ერთი მასწავლებელი ყოფნის.

აგრეთვე გააწყვეს განათლებულ ქვეყნებში მოხუცებულების და ავათმყოფების მოვლა. თითო მოხუცებულისთვის ან ავათმყოფისთვის თითო მომვლელი რომ შეიჩინა კაცს, თითქმის მთელი სოფლის მცხოვრებლები მათ მოვლას მოუნდებოდენ, და საზრდოს მომწევი აღარავინ დარჩებოდა. იმას ვინდა სჩივა, რომ ყველას სეირიანი მოვლა არც კი ეცოდინებოდა. მაგრამ რაკი გაიმართა საზოგადო, საერთო სახლები, სადაც მთელი სოფლის ან მაზრის ავათმყოფები და უძლური მოხუცებულები მიჰყავთ და სადაც მათ ოთხი თუ სუთი დახელოვნებული პირი უვლის, ექიმობს და არჩენს, დავარდნილების და ავათმყოფების მოვლა მეტის მეტათ გაადვილდა. ამით მათი მდგომარეობაც გაუმჯობესდა და მათი პატრონებისაც, ამიტომ რომ იმათ მეტი მუშამელი მოსცილდათ და მეტი თავისუფალი დროც დარჩათ სასეირო მუშაობისათვის.

როგორც სასწავლებლის, ისე საავათმყოფო სახლების საქმე ისეთია, რომ თითო ოჯახს ცალ-ცალკე სწავლა, ან მოვლა რომ უნდოდეს, იმას ამ საგნებში ათი და ოცი იმდენი დაემართებოდა, რაც საერთო სახლების გამართვაში და რჩენაში გასდის. ამის გამო, არც ერთ უგუნურ კაცს არ მოუვა თავში ის აზრი, რომ სასწავლებლის სახლი, მიწა, რომელზედაც ის აშენებულია, ყველა გლეხებმა რომ გავიცალცალკოთო, ჩვენთვის უფრო კარგი და გამოსადეგი იქნებაო. ყველასთვის ცხადია, რომ ამისთანა საქმეში ერთობა, «საერთო საქმის» ქონვა მეტის მეტად გამოსადეგი და სახეირო საქმეა, როგორც ყველასთვის, ისე ცალ-ცალკე თვითოეული პირისთვის.

V

ვისაც უნდა უთხრა ეს, ყველას აზრში დაუჯდება, და იტყვის, დიახ, რასაკვირველია, ეს საქმე სახეირო და გამოსადეგიაო.

წარმოვიდგინოთ ეხლა, რა გავლენა ექნება ამ გვარსავე ერთობას და საერთო საქმის დაჭერას არა მარტო სასწავლებლის გამართვაში, მაგრამ სხვა საქმეებშიაც. წარმოვიდგინოთ ეხლა, რა გამოვა, მთელმა სოფელმა იმნაირათვე რომ მოაწყოს და მოიხმაროს სახნავ-სათესი ადგილი, როგორათაც მოაწყობს და ხმარობს სასწავლებლის ან სასამართლოს ადგილს.

აქ ჯერ საჭირო არ არის დაწვრილებით გამოვხატოთ, რა ხეირი იქნება ამ საერთო ხმარებისაგან. საკმაოა ვიცოდეთ, რომ ეს «ერთობა» შეუძლებელი საქმე როდია მიწის შეძენაში და ხმარებაში, და თვითონ ჩვენი სოფლების ცხოვრება ამნაირივე შეძენის და ხმარების მაგალითს წარმოგვიდგენს შკოლის ან სასამართლოების თაობაზე. მაშ როცა ჩვენ «საერთო» მიწა-წყლის მოპოებაზე და მის ხმარებაზე ვლაპარაკობთ, ეს საქმე შეუძლებლათ და მოუფიქრებელ საქმეთ არავის უნდა მიაჩნდეს...

VI

რაკი ჩვენ ცოტაოდნათ დავინახეთ, რა სასარგებლოა ერთობა ზოგიერთ საქმეებში, და რანაირათ აადვილებს ძლიერ ძნელს და ცალკე პირებისთვის თითქმის შეუძლებელ საქმეებს, ვნახოთ ეხლა, რა ძალას აძლევს ამნაირივე ერთობა იმ პირებს, რომელნიც მას შეადგენენ.

რაც უნდა პატიოსანი კაცი იყოს კაცი, თუ მტკიცე მამული არა აქვს, იმას მეზობლებში დიდი ნდობა — ფულის ანგარიშში — არ ექნება, ამიტომ რომ ვისაც ფული აქვს, ნიადაგ იმას ცდილობს, იმნაირს კაცს არ ჩააგდოს ხელში, რომელიც ხვალაც მისი ამოგება გაუჩნდება, და პატიოსან: მაგრამ უმამულო კაცს — უბედურება რამ რომ შეემთხვეს, (ვთქვათ გადაბრუნდა და მოკვდა) მასზე გასესხებული ფული დაკარგული შეიქნება. ეს ხომ ჩვენში ყველას ესმის; აგრეთვე ყველამ იცის, რომ ჩერჩეტი და უპირო კაცი, მამულის მეპატრონე, ყოველთვის უფრო მეტ ფულს იშოვნის სასესხებლათ, ვინამც პატიოსანი, მაგრამ უმამულო პირი, თუ კი ის თავის მამულს დააწინდრებს, ან და მტკიცე თამასუქს მისცემს.

რა თქმა უნდა, რომ ეს ნდობა მარტო ფულის სესხებაზე კი არ არის, ყველაფერში, ანგარიშში პირობის შეკვრაში, მიწა-წყლის საღალოთ აღებაში, მოიჯიდვაში, — უმამულო პირს ნდობა არა აქვს, ამიტომ რომ ვინც იმას ენდობა, დარწმუნებული არაა, რომ ხვალ, ზეგ მის მოვალეს გადასახდის ღონე არ ექნება.

რას შეეხებიან ამისთანა მდგომარეობაში მოხერხებული და გონიერი პირები? როცა ისინი უმამულო კაცს პირობით ეკვრებიან, სთხოულობენ რომ ამ კაცს ვინმე თ ა ვ დ ე ბ ა თ დაუდგეს, თავდებს ისეთ პირს უძახიან, რომელიც კისრულობს ვალის გადახდას, ან პირობის ასრულებას, ვინიცობაა, რომ პირობის შემკვრელ ან ვალის ამღებ პირს თავისი სიტყვის შესრულება არ შეეძლოს. ვალის გამღები მაშინ ფიქრობს: ერთი თუ მოკვდა ან წახდა, მეორე მაინც ხელში დამრჩებაო, და ამ აზრით ფულს იმეტებს.

ხშირათ ისიც მოხდება, რომ საქმე დიდი და მძიმეა, ანა და ფული დიდძალია, ისე რომ ვალის გამცემს ორი კაცის ნდობა უძნელდება. მაშინ ის ერთი თავდების მაგიერათ, ორს თხოულობს და ფიქრობს, რომ სამში ერთი მაინც როგორმე არ დარჩება სალათო. — შეიძლება რომ ამნაირათვე ორი თავდების მაგიერათ სამი იყოს, ან ოთხი. საზოგადოთ, რაც უფრო მეტი თავდებია, ის საჯობია, და ის უფრო მეტად აიმედებს ფულის გამცემს.

მაშასადამე, თუ კი ისეთი საქმე შედგა, რომელშიაც ერთი ან ორი პირის მაგიერათ, სიტყვას მთელი სოფელი ან მთელი მაზრა აძლევს, და ამ სოფლების ყველა მცხოვრებლები ერთი მეორის თავდებათ ხდებიან მცირე ნდობა უნდა ჰქონდეს ამ საქმეს ვალის გამცემის ან ფულის და მამულის პატრონის თვალში? უეჭველია, რომ ის იანგარიშებს: მთელი სოფელი მე პირობას მაძლევს, ღმერთმა დაიფაროს, და ნახევარიც რომ წახდეს, მეორე ნახევარი ხომ პირობის აღმსრულებლათ დარჩება და თუნდაც რომ მთელი სოფელი გადაიცვალოს, სოფლის, ესე იგი ყოველი ცალკე პირის მამული ხომ არჩება პირობის აღმსრულებლათ.

ამ გვარმა ფიქრმა და ამ გვარმა აზრმა ისეთი საქმეები მოახდინა, რომ მკითხველს ეს საქმე საკვირვლათ შეუძლებელ რათმე მიაჩნდება. ვინ დაიჯერებს, ჩვენში, რომ ერთ პაწაწინა სოფელს, ამნაირათ თითქმის მეოთხედი მილიონის ნდობა ჰქონია ფულის პატრონებისგან? ვინ დაიჯერებს, ჩვენში, რომ ორმოცდაათ მუშა კაცისთვის, რომელთაგანაც არც ერთს ერთი ტკაველა მიწაც არ ჰქონია, ფულის პატრონებს მიუციათ ვალათ ოცი და ოცდა ხუთი ათასი მანეთი, ერთი მეორის თავდებობით. ვინ დაიჯერებს, რომ ამისთანა საქმეები ეხლა ძლიერ ხშირი შეიქნენ და თითქმის ნიადაგ ხდებიან ყველა განათლებულ ქვეყნებში?

ნ. სკანდელი.

(შემდეგი იქნება).

## შრომის მოყვარეობა დიდი ძალაა.

უწინდელს დროში სულმკვლელათ თითქმის იმ გვარივე დაწყობილება იყო, როგორც ჩვენში სან მდის გლეხების განთავისუფლებამდინ. იმდროს მუშაობა ისეთ სათაკილოთ მიაჩნდათ, რომ ვინც შრომობდა, იმას შინაური პირუტყვის სახელი ერქვა და საზოგადოებაში პირუტყვზე მეტი პატივის-ცემა არ ჰქონდა. როგორც შინაურს პირუტყვს კაცი დაჰკლავს, თუ დაჭირდა, ან გაყიდის ან დააგირავებს, ან თუ ზანტობა დაუწყო ჯოხის ცემით გაასივებს; ისე მაშინდელს ყმას კაცი ჰყიდდა. დააგირავებდა, თუ ზარმაცობას დაიწყებდა, ჯოხით გვერდებს დაამტვრევდა და თუ ვინიცობაა მუშა თავის პატრონს წინააღდეგობას გამოუცხადებდა, პატრონს შეეძლო ხანჯლით თავი გააგდებინა, როგორც ახლა ცხვარს აგდებინებენ თავს.

* * *

როგორც ახლანდელს განათლებულ ევროპის საზოგადოებაში არიან პატრონები და იმათი სამუშაო პირუტყვები საქმის საკეთებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისუბუქათ უჩნდათ კაცებს ეს ავათმყოფობა.

* * *

წარსული წლის პირველ თებერვლიდგან ოცდაერთს მაისამდის ერთ პარიჟის საავათმყოფოში ყვავილით ორას-სამოცდა-ხუთმეტი ავათმყოფი იყო.

იმათში მოკვდა ორმოცი კაცი, დაახლოვებით შვიდში ერთი მოკვდა. ოცდა-რვა კაცი თავის სიცოცხლეში არ აჭრიათ ყვავილი. იმათში მოკვდა ოცდა-ერთი.

ორას-სამოცდა-თოთხმეტს ავათმყოფს ჰქონდათ აჭრილი ყვავილი დროს. იმათში მხოლოდ ცხრამეტი მოკვდა, ანუ ცამეტში ერთი კვდებოდა. ზემოხსენებულს ავათმყოფებში თორმეტმა სამის წლის წინათ, ვინაც ყვავილი გაჩნდებოდა. მეორეთ აიჭრა ყვავილი და ყველანი მორჩნენ.

აქედგან ცხადათ სჩანს, რომ რომელთაც მეორეთ აჭრეს ყვავილი, იმათში ერთიც არ მომკვდარა.

ამას თანავე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოხსენებულს საავათმყოფოში ათას ჩვიდმეტი ყვავილიანი იწვა, რომელთა შორის მრავალს ორჯერ ყვავილი აჭრილები იყვნენ, მაგრამ ნამდვილი ყვავილი სამის მეტს არ შეჰყრია.

ამისათვის პირველჯერ და მეორეჯერ ყვავილის აჭრა მართლად ფუჭი რამ საქმე კი არ არის, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ზემოხსენებული მაგალითებით ცხადათ მტკიცდება, რომ ყვავილის ორჯერ აჭრა, სრულებით განათავისუფლებს კაცს ბატონების შიშისაგან, მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მეორეთ აჭრა შვიდ წელიწადზე ადრე არ უნდა მოხდეს იმის შემდეგ, პირველად რომ აეჭრათ.

* * *

ჰაერის კარგი მოქმედება ავათმყოფებზე

უწინდელ დროს ევროპაში ავათმყოფს გამოამწყვდევდენ ერთს ოთახში და ცოტა ჰაერიც რომ გარედგან შემოსულ იყო თავს მოიკლავდენ. როგორც შეიძლება სადაც ავათმყოფი წევს იმ ოთახის კარების ან ფანჯრების გაღება, გაცივდებაო და მოკვდებაო. ჩვენში ამ ჟამსაც კი იციან ასე. თუ ვინმე ცხელებით ავათ გახდა დაუკეტენ, სადაც წევს, იმ სახლს კარებს და შიგ რომ ისეთი სუნიც იდგეს, კაცი ვერ სძლებდეს, ჰაერის გაწმენდას მაინც არ იფიქრებენ.

* * *

აი, ამისგამო ჩვენში, სადაც ავათმყოფი წევს, კაცს არ შეესვლება, ისეთი მძიმე ჰაერი დგას, რომ სულს მღავს მოიბრუნებს გარედგან შესული მნახველი. უწინდელს დროში საავათმყოფოებში და ლაზარეთებში მუდამ რომ ავათმყოფების ოთახები დახშული იყო, ისეთი ცუდი მძიმე სუნი იდგა, რომ უჩვევი კაცი შიგ ერთ საათსაც ვერ მოიცდიდა. ამისთანა წამხდარი ჰაერი ოთახებში აჩენდა სხვა და სხვა სნეულებას და განსაკუთრებით ხურვებას. ავათმყოფს მარჩენათ რომ შეიყვანდენ, გამოსვლას ნუღა მოელოდა იქიდგან; ის კი არა კარგათ მყოფიც რომ შესულ იყო, ისიც კი გახდებოდა ავათ.

* * *

აღმოსავლეთის ომიანობის დროს შენიშნეს, რომ ის დაჭრილები, რომელნიც კარვებში იწვნენ და წმინდა ჰაერი თავისუფლათ შედი-გადიოდა, უფრო ჩქარა და ადვილათ რჩებოდენ, ვინემც თბილ ლაზარეთის ოთახებში მყოფნი. ორივე დაჭრილებს ერთნაირი ყურადღება ჰქონდა მიქცეული და უფრო ჩქარა მორჩენა კარვებში მყოფ დაჭრილებისა უეჭველათ მიეწერებოდა წმინდა ჰაერის ზედმოქმედებას. ეს ამბავი ადრეც ჰქონდათ შენიშნული იმ ლაზარეთებში, სადაც მუდამ წმინდა ჰაერი ბრუნავდა, იქ უფრო ადვილათ რჩებოდენ ავათმყოფები და უფრო ცოტანიც კვდებოდენ. ამის შემდეგ დარწმუნდენ, რომ საავათმყოფოებში მუდამ წმინდა ჰაერის ტრიალი ისეთივე საჭიროა, როგორც თვითონ წამლობა და ამის შემდეგ იწყეს განიერი ოთახებიანი საავათმყოფოების კეთება და შიგ მუდამ წმინდა ჰაერი ატრიალეს.

* * *

ჩვენ სოფლებშიაც კარგათ უნდა იცოდენ მცხოვრებლებმა, რომ ავათმყოფის საწოლში მუდამ წმინდა — ჰაერი აბრუნონ, ცუდი სუნი არ დააყენონ შიგ, რადგან ცუდი სუნიანი დამდგარი ჰაერი ავათმყოფობას ამძლებს.

---

# საქონლის გადამდები ავათმყოფობანი.

## თურქული ანუ ენისა და ჩლიქების ავათმყოფობა.

ეს ავათმყოფობა უფრო იმით შეინიშნება, რომ ცხოველს ერთსა და იმავე დროს პირში და ჩლიქებში გამოჰყრის, სანამ გამოჰყრიდეს ცხოველს, ციება გამოაჩნდება. სამი ოთხი დღის შემდეგ გამოყრილი მუწუკები დაიწყლულდება. შიგ ჩაუდგება ყვითელი ბალღამი, რომლისგამო ცხოველს პირიდგან დორბლი ანუ დუჟი გადმოდის. პირში ენაზე, ტუჩებზე და ცხვირის ნესტოებზე გამოჰყრის. ჩლიქებზე გამოჰყრის განსაკუთრებით ჩლიქების თავზე, უკან ქაჩაჩში და ჩლიქებშუა რბილ ხორცზე. მეორე დღეს ეს მუწუკები დასკდება და იმათ მაგიერათ წითელი ლაქები დარჩება, რომელიც ძალიან აწუხებს ცხოველს. ავათმყოფი ცხოველნი არას სჭამენ და წვანან, თუ როგორმე ძალიან ააყენა კაცმა, — ძლივს გადადგმენ ფეხს და საარულში კოჭლობენ, თუ თბილი ამინდია ეს ავათმყოფობა ერთი კვირისა ან ათი დღის მეტს არ გასტანს.

* * *

ეს ავათმყოფობა ჩვენში ხშირად ჩნდება და თუ გაჩნდა, ძალიან ბევრს ალაგზე მოივლის. ის ეპარება რქიან საქონელს, ცხვრებს, თხებს, ღორებს, ცხენებს და აქლემებს, კაცებსაც კი გადაედება, - განსაკუთრებით ყმაწვილებს, რომელთაც ენაზე გამოჰყრის, მაგრამ უფრო ხშირათ გამოაჩნდება ცხვრებს და ღორებს.— ეს ავათმყოფობა ხშირათ თავისით გაივლის ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ თუ გამძლიერდება, საქონლის ჰკლავს და რადგან გადამდებია დიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვრალს აძლევს მეღჯახეს. ცხოველი უფრო იმისგამო კვდება, რომ დასივებული და დაბუწყლებული პირით საკვებს ვერა სჭამს და თუ დიდხანს გამნელდა ავათმყოფობა, ღონე ერთმევა და შიმშილისაგან კვდება. კაცი ან პატარა ყმაწვილი ფთხილად უნდა იყვნენ, არ მიეკარონ თურქულიანს ცხოველს რომ ავათმყოფობა იმათაც არ დაემართოთ.

თურქული და ჩლიქების ავათმყოფობა ემართება ცხოველს სხვა ცხოველისაგან, ხშირადობა, როცა იმის დორბლი ან ფუწკთან ჩლიქების ჩირქი მოეცხება ტანზე; ამიტომ გაფთხილებული უნდა იყოს და ავათმყოფი ცხოველის რძეც არ უნდა იხმაროს.

როგორც ფიქრობენ პირველად ამ ავათმყოფობის გაჩენის მიზეზი ცუდი ძოვლა არისო. როდესაც შემდგომაზე გვიანობამდის არ დააბრუნებენ შინ საქონელს და გაზაფხულზე ძალიან ადრე გამორეკენ საბალახოებზე. ცუდი საჭმელი და ნამიანი ბოსელი, თუ დიდხანს არ გამოუცვალეს ქვეშ საფენი თივა ან ჩალა, თუ წმინდათ არ იქონიეს ბოსელი და ხშირად არ დაგავეს; ამასგვარად ზოგიერთს წელიწადში თუ უცბათ გამოიცვალა ჰავა მაგალითად, ცხელი და მშრალი ჰავა თუ მაწვიმარად ნამიანათ და ცივ ჰავათ შეიცვალა.

* * *

რაღონის მიებით შეიძლება კაცმა მოარიდოს საქონელი ამ ავათმყოფობას.

როგორც ცხოველს პირში გამოჭყრის, დორბლი ან ქაფი დაუწყებს დენას და ჩლიქებიც ცოტაც არის დაუსივდება, და გამოჭყრის, მაშინვე უნდა მოაშოროს ეს ცხოველი სხვა კარგა მყოფს პირუტყვებს და გადაიყვანოს მშრალს და თბილს გომში. არას გზით კარგა მყოფ პირუტყვებში არ უნდა გაუშვას ავათმყოფი და არც იმ საბალახოებზე უნდა გარეკონ, სადაც თურქულიანი პირუტყვი სძოვდა,

თუ შემოდგომა და ზამთარი მომეტებულათ ნამიანია, მაშინ საქონელი ადრევე უნდა დააბას ბოსელში ან გომში მშრალ ბოსელში.

* * *

შემოდგომაზე და ზამთარში საქონელი უნდა მოარიდო ახლად გათიბულს მინდვრებზე ძოვებას, განსაკუთრებით მაშინ როცა ამ ალაგებზე დილით რთვილს დასდებს რომ ეს რთვილიანი ბალახი გაუჩენს პირში ტანმთელს საქონელს იმავე გვარს მუწუკებს, როგორც თურქულიანს ძროხებს და ცხენებს.

* * *

წამლობა.

თურქულს სწამლობენ აი, ამ გვარათ: გადადუღებულს ხორბლის წყალში გაადნობენ გლაუბერის მარილსა (*Глауберова соль*). ავთიაქში იყიდება. დღეში აძლევენ სამჯერ, თითო დალევაზე თორმეტს მისხალს ჩააყლაპებენ. პირში დაყრილს მუწუკებს წაუსმენ ჯოხზე მობმულს ჩვარს, რომელიც გავლებულია მმარგარეულს წყალში, სალბიას (*Шалфей*) წყალში.

თურქულს აგრეთვე სწამლობენ, აი, ამგვარათ: ოცდაოთხს მისხალს მარილს გაადნობენ ორ ბოთლს წმინდა წყალში და შიგ გაურევენ ნახევარ გირვანქა თაფლს და ნახევარ ჩანერკა მმარს.

ავათმყოფს საქონელს ხმელი საკვები არ უნდა მისცენ, არამედ პურის ფქვილის ფაფა, ან ნორჩი ბალახი, (თუ ზაფხულია), ან გადმოდუღებული ბოსტნეულობა. საზდო მაგრათ არ უნდა ჭქონდესო. მომეტებული საკვების მიცემა კიდეც აწყენს ავათმყოფ პირუტყვს.

* * *

ფეხის ჩლიქებში მუწუკების საჩჩენათ ყველას სჯობია გადმოდუღებული მთის ჩადუნას წვენი (*верескъ*). ავთიაქში იყიდება. ამ წვენით მოჭბანენ მუწუკებს დღეში ორჯერ, ან სამჯერ. ეს საშუალება ყოველ გვარს იარას უხდება. ამასგვარად ამ მთის ჩადუნას წვენით თუ ბანა კაცმა ჩლიქები საქონელს, თურქული ძნელათ შეეყრება. ყველას ემჯობინება თურქულის მოსარჩენათ სპირტგარეული ტყვიის წყალი (ავთიაქში იყიდება). თუ ფეხის ჩლიქები ძალიან დასივებული აქვს და მუწუკები მეტათ დაჩირქიანებული, ლახოსტაკიანი წყლით უნდა მოჭბანოთ ხოლმე, ნახევარ მანერკაში რომ ხუთი მისხალი ლახოსტაკი გაადნო, საკმაოა. თუ ესეც ვერ იშოვნა კაცმა, მაშინ დამწვარი შაბაუ და მოაყაროს და მერე დღესვე შავი ნავთი უნდა წასცხოს.

* * *

შესანიშნავია, რომ ხბორებს და ბატკნებს ხან და ხან პირში გამოჭყრის ხოლმე და ის გადამდები კი არ არის, ზოგიერთს დაემართება მარტო და მეძუძს მოწოვას უშლის, ამ გვარათ ცხოველი თან და თან ხმება, ღონე ერთმევა და კიდეც კვდება. ამასთანავე ხბორებსაც ზემოხსენებული წამლები უნდა გაუკეთონ, დედა ძროხებს კარგათ უნდა კვებონ და რაც შეიძლება წმინდათ იყოლიონ.

## არაყის სმა რითია საშიში.

მაჩვიეთ კაცი არაყს და ნახავთ, რომ ჩვეულებრივათ საზდოს ვეღარ მოინელებს. კუჭის გახურება არაყით ძალიან გადაგვაქცევს მოუცილებელ საჭიროებად; ისე რომ თუ კუჭს ყურადღებით არ უქმია კაცმა, აღარ შეუძლია, რომ უარაყოთ საზდო მოინელოს. ამისგამო სუსტი კუჭი უფრო თანდათან დასუსტდება, ისე, რომ უწინ თუ საჭმლის მოსანელებლად ერთი პატარა სტაქანი არაყი ეყოფოდა, ცოტა ხნის მერე უფრო დიდი სტაქანი მოუნდება, მერე კიდევ უფრო დიდი და ამ გვარათ უბედური კაცი, ლოთად გადაიქცევა.

* * *

მთვრალი და ლოთი სრულიად არ არის ერთი და იგივე. მთვრალ კაცს სპირტი რომ მეტი მოუვა სისხლში გაერევება, სისხლიდან ტვინში ავა და გააღვიძებს საშინელ ტვინის მაფეების მოქმედებას, ტვინის ძარღვების გაჯავრებისაგან კაცს საშინელს გულისა და მაჯის ცემას დაუწყებს, თავში სისხლი აუვარდება, თვალები ებინდება, ყურებში რაღაცას წივილი გაესმის, ბრუ დაესხმება, რომელიც უშლის სწორეთ სიარულს, თვალები და ტანის კანი სისხლით ევსება, ტანიდან უფრო ბევრი ოხშივარი ადის, სულის იქმა აჩქარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათ, სულ ძველათ ასევე გვარი დამოკიდებულება იყო პატრონებსა და იმათ მონებსშუა. როგორც პირუტყვს ენა არა აქვს, რომ თავის პატრონს უთხრას, ღმერთი არ არის შენში, რასა მცემო, რას გაკეთებაც არ შემიძლია, როგორ გავაკეთოვო? იმავე გვარათ მაშინდელი მუშა კაციც თავის ბატონის წინ პირუტყვი იყო, ესე იგი სულის დაძვრა არ შეეძლო, თუნდ რომ პატრონს ცუდი თავში დაეკრა იმისთვის. ამისათვის მაშინდელი საზოგადოება ორ ნაწილათ გაიყოფებოდა: მუშა ხალხი, რომელთაც ეძახდენ მონებს და მხედრები, რომელნიც მხოლოდ ომობდენ და მტაცებლობდენ. პირველი მეორის საჩენათ იყო გაჩენილი და ეს იმ პირველ გვარის კაცებს ბედნიერებათ უნდა ჩაეთვალათ.

*
* *

უწინდელი ხალხები მუდამ ერთი მეორის ბრძოლაში იმ განსხვავებით იყვნენ, რომ რაც ერთს ჰქონდა, ის მეორეს ჩაეგდო ხელში. ამას გარდა მეომარი ჯარები, რაც ერთმანეთთან შეიყრებოდენ საჩხუბრათ და ერთი მეორეს გააქცევდა, გამარჯვებული ცდილობდა, რაც შეიძლება, ბევრი კაცები წაეყვანა ტყვეთ თავის მხარისათვის და შინ მოეყვანა. ამ კაცებს ომში ნაშოვარს მონებს, ან უკეთ ვთქვათ, ხაზორელს ეძახოდენ. რაკი კაცი ტყვეთ ჩავარდებოდა, იმას კაცური პატივისცემა აკლდებოდა და, თუ არ უნდოდა მოეკვდარიყო, თავისი დღენი მხოლოდ თავის პატრონის მუშაობაში უნდა გაეტარებინა. ცხადია, რომ ვინაც უფრო ბევრს ტყვეს იშოვნიდა ომში, უფრო ბევრი მშრომელი ეყოლებოდა, მაშ უფრო ბევრს ცხოვრების ღონისძიებასაც იგრძნობდა, ერთი სიტყვით, ის უფროც მდიდრდებოდა.

*
* *

ამ სახით ზოგიერთს სახელმწიფოში, რომლის მცხოვრებლებიც უფრო მარჯვენი და ღონიერნი იყვნენ, ისინი მონებით მდიდრდებოდენ და მერე თანდათან ომსაც თავს ანებებდენ. რადგან ომიანობას ერთი უსიამოვნო ჩვეულება სჭირდა:—შეიძლებოდა თვითონ პატრონი ვინმე ტყვეთ წაეყვანა და შინაურ პირუტყვათ გაეხადნა, მაშინ როდესაც შინ ბევრი წამოყვანილი მონები ჰყავდა და ამათი მოგროვებული ჭირნახულით ცხოვრება ნიადაგ გამტკბარი ჰქონდა. მაშ რა გიჟი იქნებოდა ბევრი მონების პატრონი ამისთანა საშიშ საქმეში თავს რათ გაიბამდა. ამ სახით ის ხალხები, რომელთაც მუდამ ომიანობით ბევრი მონები ეშოვნათ და იმითი მუშაობით გამდიდრებულიყვნენ, თან და თან ანებებდენ თავს ჩხუბს. ხდებოდენ მშვიდობიან ხალხათ, დღე-და-ღამე გაუწყვეტელი მონების შრომით იკრებდენ აურაცხელს სიმდიდრეს ხელში და იწყებდენ უდარდელათ ცხოვრობას; კარგათ სჭამდენ, სვამდენ, ქეიფს ეწეოდენ და დანარჩენი დრო კი ემინათ. ამისთანა უდარდელმა ცხოვრებამ პატრონებს თან და თან მეტადი გაასხვილა, ძალი და ღონე ამისგამო თან და თან წაერთოთ, დაჩაგრდენ და ქეიფიურმა ტკბილმა ცხოვრებამ ისინი მხოლოდ მუცლებათ გადააქცია, რომლებშიაც რამდენიც უნდა ჩაგეყარა, კიდევ უფრო მეტს ითხოვდენ.

მონები მომატებულმა პირუტყვულმა შრომამ და ცხოვრებამ გასტეხა და პატრონები კი მუდამ ძალმა და უსაქმობამ. ცხადია რომ ამისთანა ხალხი სხვას რომ არ მოეკლა, ადრე თუ გვიან, თვითონაც მოკვდებოდა და გაქარწყლდებოდა. აი, ამიტომაც აღარ არიან ამ ჟამათ ის დიდი უწინდელი სახელმწიფოები, რომლების ამბავს ახლა მხოლოდ დაბადებაში ვკითხულობთ. სად არის ახლა ის დიდებული ფარაონის სამეფო, რომელსაც მთელი ებრაელების ხალხი დატყვევებული ჰყავდა რამდენიმე ასი წლის განმავლობაში, სანამ მოსე წინასწარმეტყველმა არ გამოიხსნა ეგვიპტიდგან; სად არის ის დიდებული არაბების სახელმწიფო, რომელმაც განათლება შეიტანა უწინდელს საქართველოში? ბოლოს სად არის ის ჩვენი დიდებული თამარ მეფის სახელმწიფო, რომელსაც საქართველოს ვეძახდით და რომლითაც აქამდის ვიქებთ თავს? ყველა ეს სახელმწიფოები გაქრწულდა; ამიტომ რომ არც ერთს ამ სახელმწიფოში შრომა არ ფასობდა. ვინც შეძლებული იყო, იმას შრომა საზიზღარათ მიაჩნდა, თვითონ ქეიფს და ძილს ეძლეოდა, მუშა ხალხს კი იმ უსაქმო ბატონის რჩენით წელი ჰქონდა მოწყვეტილი. ამისთვის ორივეს ღონე დაეკარგა და, ადრე თუ გვიან, ამ გვარათ ღონე წართმეული სახელმწიფო უნდა გამქრალიყო დედა მიწის ზურგიდან.

* *
*

მაგრამ უწინდელ დროში სულ ყველა ხალხებს არ ჰქონდა ამისთანა შეხედულობა შრომაზე. იყვნენ ისეთნიცა, რომ შრომა პირველ ღონისძიებათ მიაჩნდათ თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. მაგალითად მოვიგონოთ ერთი მეტათ პატარა და უძლური სახელმწიფო, რომელსაც ერქვა ფინიკიელების ხალხი. ამას ეჭირა ერთი პატარა, კუთხე ქვეყნისა საშუალო ზღვის პირათ. სიგრძით ეს ქვეყანა სამასი ვერსია თუ იქნებოდა და სიგანით ორმოცი ვერსი. მაშ ბევრათ უფრო პატარა უნდა ყოფილიყო, ვინამც ჩვენი ახლანდელი საქართველო. ამას გარდა ღვთის მადლით, ჩვენს საქართველოს კარგი ნაყოფიერი მიწა მაინც აქვს, ფინიკიის სახელმწიფოში მიწაც რომ არ ვარგოდა!... იმათი მიწა ქვიშიანი იყო და ზედ ეკლიანი ჯაგების მეტი არაფერი ჰხარობდა. ამ ქვეყნის ხალხი თავის მიწას რომ შეჩერებოდა და იქაც მონების ამარა დარჩენილიყვნენ, სწორეთ შიმშილით გაწყდებოდნენ. ომი სხვა სახელმწიფოებთან არ შეეძლოთ ამიტომ რომ ყოველი იმის გარემო მოსაზღვრე სახელმწიფო ათი იმაოდენი გამოვიდოდა. მონების შოვნას რომ გამოდგომოდენ, თვითონვე მონებათ გახდებოდენ. მელა აღმართს ხნავსო. მიწაც ისეთი უნაყოფო იყო, რომ იმის მოსავალზე მარტო ვერ დაიმედდებოდე. აი, ამისთანა გაჭირებამ გაუღვიძა გულში იმათ შრომის სიყვარული. იმათ თქვეს, ყოველი ჩვენთაგანი თუ არ საკუთარის შრომით, სხვა ღონის ძიებით ვერასოდრით გაიტანს თავსო, მაშ ერთად ერთი საშუალება უნდა იყოს ჩვენი ცხოვრების გამკეთებელი—რომელსაც ჩვენ უნდა დავუმახოთ *შრომა საკუთარი თავის*

სარჩენათაო. ყოველმა ჩვენთაგანმა გულში უნდა გადაიწყვიტოს, რომ მოხერხებული შრომის მეტი იმას ქვეყანაში ვერა დაარჩენს რა. დიდება იმ კაცს, რომელიც თავისი შრომით ირჩენს თავს და აუმჯობესებს თავის ცხოვრებასა.

* * *

ამ აზრის გამო როცა ხალხის გონებაში თითოეული კაცის შრომას პატივი და ღირსება მიეცა, მაშინ მთელი ხალხი მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ თავისი მოხერხებით და ჭკვით მოეძებნა კეთილი ცხოვრების ღონისძიება. ამის გამო ფინიკიელებში თავდაპირველათ არ იყვნენ არც პატრონები, არც ყმანი, იქ ყოველი კაცი თავის საცხოვრებლათ მუშაობდა, თვითონ მუშაობას დიდი პატივი მიეცა და მხოლოდ ის ოჯახობა უფრო სახელ განთქმული შეიქნა, რომელიც უფრო ბევრს შრომობდა და უფრო ბევრს ცხოვრების საშუალებას იძენდა. ისინი ერთმანერთს კი არ ეჩხუბებოდნენ, არამედ გაჯიბრებული იყვნენ, ვის უფრო ბევრს ქონებას შეიძენდა თავის საკუთარი შრომით და ამის გამო რამდენსამე საუკუნეს შემდეგ ყოველს ფინიკიელს თავისი მოხერხებით და გამჭრიახობით ჩაუვარდა ხელში აურაცხელი სიმდიდრე.

* * *

ფინიკიელები ცხოვრობდნენ ერთს ვიწრო ზღვის პირათ. ცალმხრით მშვენიერი ლიბანის ნაძვის ტყიანი მთით ისაზღვრებოდა და მეორეს მხრით საშუალო ქვეყნის ზღვითა, რომლის ნაპირებზე ცხოვრობდნენ მრავალნი სხვა და სხვა თვისების ხალხნი. რადგან თავის ქვიშიანი მიწისაგან ვერას გამორჩებოდნენ, იმათ იფიქრეს, მოდი ეს მშვენიერი ნაძვის ტყე მაინც გამოვიყენოთო. მოსჭრეს ეს უზარმაზარი ნაძვის ხეები, როგორც მოეხერხებოდათ, გააკეთეს ისეთი ნავები, ჩაავდეს წყალში, ჩასხდნენ შიგ და დაჰყვნენ ამ თვალ გაუწვდენელის ზღვის ნაპირებზე, გაიცნეს მრავალი ნაირი ხალხები, იმათი ცხოვრება და ნაკეთები საქონელი, მერე თვითონ შეუდგნენ ვაჭრობას. რაც იმ ზღვის ნაპირების ხალხს მოსწონდათ, იმისთანა საქონლის კეთებას დაიწყეს და ბოლოს მოჰყვნენ თავის ნახელავებით ვაჭრობას. მერე დაარჩიეს რაც კარგი რამე საქონელი იყო ერთ ქვეყანაში, ყიდულობდნენ იქ და გადაჰქონდათ მეორე ქვეყანაში გასასყიდათ, მაგრამ ესეც უნდა იცოდე, ჩემო მკითხველო, რომ ფინიკიელები რამდენათაც უფრო ბევრს ხალხს სცნობდნენ, იმდენათ უფრო მოხერხებულნი და გამოცდილები ხდებოდნენ; ამისთვის ვისგანაც საქონელს ყიდულობდნენ, იმათგანაც სარგებლობდნენ და ვისაც მიჰყიდიდნენ, იმათგანაცა. ამის გამო ერთ მხარეში რომ იაფათ იყიდიდნენ სხვა და სხვა გვარის საქონელს, ის გადაჰქონდათ მეორე მხარეში და იმ ქვეყნის ხალხს უფრო ძვირათ მიჰყიდიდნენ ხოლმე. ამ სახით ერთისაგანაც სარგებლობა ჰქონდათ და მეორისგანაც. რასაკვირველია, ამისთანა მოქმედება თვითონ იმათაც ძვირათ უჯდებოდა: ზღვაში მოგზაურობას დიდი ჯაფა და განსაცდელი მოსდევს: ზღვაში ხშირათ ქარიშხალის ატეხა იცის, რომლისგამო იღუპებოდა აურაცხელი ნავები და ხომალდები ფინიკიელებისა, მაგრამ ისინი ამისთანა განსაცდელს არაფრათ ერიდებოდნენ. იმათ კარგათ იცოდნენ, რომ ყოველ კარგს საქმეს დიდი შრომა და განსაცდელი მოსდევს, მაგრამ იქიდგან ნაყოფიც კარგი გამოდის, ესე იგი სიმდიდრე და კეთილ დღეობა, ამისთვის ისინი არც ზღვის ფურთქნას ერიდებოდნენ, არც უცხო ხალხის მტრობას, იმათმა დაუცხრომელმა ჯაფამ და შრომამ ყველაფერი დასძლია. ბოლოს ეს ერთი მუჭა ხალხი მარტო თავისი მხნე შრომით შეიქნა მთელი ქვეყნის მბრძანებელი. იმან გონიერი ვაჭრობით დაიმორჩილა მრავალი საშუალო ზღვის პირის ხალხები. ესენი უფინიკიელებოთ არას აკეთებდნენ და რაც კარგი რამე გაკეთდებოდა იმათში, სულ ფინიკიელების ხელში გადადიოდა და ამ ფინიკიელებსაც ყველანი უფრო განათლებულს, უფრო მდიდარს და უფრო შემძლე ხალხს ეძახდნენ, მთელი საშუალო ზღვის პირის ქვეყანა ძველ დროში იმათ მორჩილებისა და სიამოვნების მეტს არას აკეთებდნენ.

* * *

ამ სახით ამ ერთმა მუჭა ხალხმა დაიმორჩილა მრავალი ხალხები და ჩაიგდო ხელში უთვალავი სიმდიდრე. რითაო? — მკითხავს მკითხველი? — არც ხმლით — არც მალობით, არამედ შრომით და შრომისაგან მოპოებული განათლებით. ამის შემდეგ ჩვენ არ შევცდებით, რომ ვიქვათ: «შრომა არის ყოველი ხალხის გამდიდრებელი და მხოლოდ იმ ხალხის ცხოვრება არის შვენავი და დიდებული, სადაც ყოველი კაცი მხოლოდ თავის შრომით და მოგებით ცხოვრობს.

გ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება).

---

## რამდენიმე ცნობა ყვავილით ავათ-მყოფებზე

განვლილს წელს საფრანგეთში მალიან მოფენილი იყო ყვავილი. განსაკუთრებით პარიჟში ბევრნი იყვნენ იმითი ავათ. საფრანგეთის მეცნიერები მხოლოდ ერთი მეორესთან ბაასობდნენ: ერთი ამბობდა ჯერ რომ ყვავილის აცრა მოიგონეს, იმ საშუალებით ერთი კაციც არ მოკვდებაო, მეორე მხარე ამბობდა, მარტო ყვავილის აცრა უფრო სასარგებლოაო. მესამე გვარის მეცნიერები იმას ამბობდნენ, რომ არც აცრა უნდა, არც არაფერი, ყვავილი თავისით მორჩებაო. ასე ამ უხეირო ბაასობაში ატარებენ მეცნიერები დროს და ყვავილი კი თავისას არ იშლიდა, მრავალს კაცს აიკუჭებდა.

* * *

რადგან ყვავილის მოსავლეთი, ან იმის შესამცირებელი საშუალება მოქმედებულათ საჭიროა კაცობრიობისთვის, ვალათ ვრაცხთ, აქ შევკრიბოთ ისეთი ცნობები, რომლებიც შეგვატყობინებენ, თუ რა შემთხვევაში მოკვდების ყვავილი მიმეთ და რა შემთხვევაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული და მოწყვეტილი აქვს. მთვრალს კაცს ჯავრი მოუვლის, გონება დაუბნელდება და ამისთვის ჰგონია, რომ იმას დიდი ძალა აქვს: მიდის გულმაგრათ, ფხიზელსავით, მაგრამ რაკი ეხვევა, ძალა თან და თან აკლდება და ბოლოს ეცემა მიწაზე, სადაც გაუგებრათ ჰგორავს, სანამ მოუსვენარს ძილში არ ჩავარდება. ეს ძილი იმას უბრუნებს თავის მეცნიერებას, მაგრამ მის უწინდელ ძალას კი ვეღარ: ის გამოიღვიძებს სულით და ხორცით დაქანცული. ჩვენ წვრილათ არ განვიხილავთ ამ საცოდავ მდგომარეობას. ჩვენ მხოლოთ ზოგიერთ შევნიშნავთ, რომ ამ შეუფერებელ მდგომარეობაში შემთხვევითაც ჩავარდება კაცი, მხოლოთ იმისთვის, რომ ის ლოთი არ არის. აი, ლოთობა სულ სხვა საქმეა, — ის ძალიან მაგრათ არის გადაბმული საზრდოს უქონელობასთან და უმეტეს ნაწილათ ყოველთვის ცუდი საზრდოსა და იმის ნაკლებობისაგან წარმოსდგება, რადგან ის კუჭს ართმევს მაგარი საზრდოს მონელების ძალას. ვისაც თავის კუჭი არაყზე აქვს მიჩვეული ე. ი. ვისაც კუჭი უარაყოთ საჭმელს ვერ მოინელებს, იმას ლოთობა ტანში უდგას. ამისთანა ჩვეულება ძალიან ხშირათ შეხვდება შეძლებულ კაცებისაც, მაგრამ აქ შიში ისე დიდი არ არის, ამისთვის, რომ ისინი როგორც თავიანთ კუჭის მოშლას შეატყობენ, მაშინვე შეუძლიანთ, რომ სხვა და სხვა ადვილ-მოსანელებელი საჭმელები მიიღონ, რომლებიც უარაყოთაც მოინელება; იმათ მაგალითათ შეუძლიანთ სჭამონ კოტლეტები და სხვა ამისთანა გემრიელი საჭმელები, რომლებიც მადასაც უკეთებენ და კუჭსაც უმთელებენ. ვაი ცოდოსა. თუ მდიდარმა მაშინვე როგორც ჭამას გაათავებს არ იგრძნო თავის თავის ლხინი, შეუძლიან მოიცადოს სანამდის საჭმელი მის კუჭში სრულებით არ გადაქცევა; იმას შეუძლიან ნასადილევს შეისვენოს, მერე ცოტა გაისეირნოს და ვახშმისთვის კარგი მადა გაიღვიძოს. ყველა ამ საშუალებას შეუძლიანთ ჩვეულებრივი საჭმლის მონელება ისევ მოაბრუნოს. თავის შეკავება და გულკეთილობა კი არ ხდის იმას ისე ფხიზელ კაცათ, არამედ თავისი მდიდარი და მაძღარი სუფრა; აი, რისთვის მოხდება ხოლმე ხშირათ, რომ გადარიბებული მდიდარი საშინელ ლოთად გადიქცევა, ის ჯავრით კი არ იწყებს ლოთობას, როგორათაც ბევრს ჰგონია, ის იწყებს ლოთობას მხოლოთ მისთვის რომ იმას აქვს ცუდი და ურგო საჭმელი.

II

## ღარიბი და არაყი

ძალიან ძნელი მოსაფიქრებელია, რომ საწყალმა ღარიბმა ლოთმა არაყს თავი დაანებოს, თუ კი მისი კუჭი ერთხელვე არის იმაზედ მიჩვეული; ამის მოშლა კაცისაგან თითქმის შეუძლებელია.

ის მუშაობს, ჭირმოობს შიმშილს; უნდა, რომ საჭმლით გაიმაგროს ძალა, მაგრამ მისი კუჭი კი ვეღარ ინელებს მაგარ საჭმელებს, და ბოლოს იმისთვის საჭმელი თითქმის საზიზღარი შეიქნება. ამასობაში შესუსტებული ახოები თხოულობენ გამაგრებას; სასიცოცხლო მუშაობა იმის ტანში ჯამინებელია, ტანი ითხოვს საზრდოს, მაგრამ კუჭის გაფუჭებისგამო, ლოთს მადა არა აქვს. რა ჰქნას, როგორ უშველოს ამ გაჭირებას? ერთიღა საშუალება აქვს დარჩენილი: არაყის გადაკვრა! იმას გამოცდილებამ დაასწავლა, რომ არაყი აღვიძებს ტანში მუშაობას და რამდენსამე ხანს იმას შეუძლიან რამენაირათ საწყალ მუშას საჭმლის მაგიერობა უყოს.

* * *

ტანში მუშაობის დროს ორ გვარი მოქმედებაა: ფშვინვა და ოფლის ოხშივრათ გადაქცევა. ოფლი, რომელიც შორდება კაცს მუშაობის დროს, არის ნაწილი კაცისგან მიღებული საზრდოსი და ახლა კი ისევ ტანიდგან გამოდის. ოფლი, როგორც ამოსუთქმებული ნახშირ-მჟავა (*угле кислота*) გამოდება საჭმლისაგან; ამისთვის უსაქმო კაცებს ცოტა ოფლი მოსდით და საჭმელსაც მრავალ ნაკლებს სჭამენ იმათზედ, რომელნიც ატარებენ დღეებს მძიმე მუშაობაში. გულს მიადგენე მუშისთვის საჭმელი მოუცილებელია; ამისთვის რომ თუ იმათ საჭმელი არ ექნათ, მაშინ ოფლი და ნახშირ-მჟავა, რომელნიც მუდამ ტანიდგან გამოდიან, კეთდებიან ტანის ხორციდგან, და ამ გვარათ, რადგან საზრდო არ ემატება რაც მუშაობის დროს ოფლის გამოდებით და ნახშირ-მჟავის ამოსუნთქვით ეხარჯება, ამისთვის ტანი თან და თან ხმება, მჭლდება და ბოლოს სულსაც გაჰქრება. არაყს აქვს კიდევ ერთი თვისება, ის ადამიანის ტანში ნახშირ-მჟავათ და წყლათ გაიყოფება რომლებისგანაც პირველი ე. ი. ნახშირ-მჟავა ამოდის ჩვენი სულის ამოთქმასთან და წყალი გამოდის კანში, რომელსაც ჩვენ ოფლს ვეძახით, ამისთვის კაცის საჭმელი, როცა არაყს ხმარობს, სულს ითქვამს და ოხშივრათ უშვებს არაყის ანგარიშზედ. მაშინ როდესაც კაცის ტანი რჩება ხელ უხლებელი.

* * *

აი პასუხი იმ კითხვაზე, თუ რისგან არის, რომ ლოთები, რომლებიც დიდხანს თითქმის არ ხმარობენ საჭმელს, თავის ძალას კიდევ კარგა ხანს ინახავენ. არაყი, რომელსაც მოაქვს კაცისთვის ნივთები, რომლიდგანაც შეზავდება ოფლი და ნახშირ-მჟავა, ადამიანის ტანს ინახავს და უშლის იმას დარღვევას და საწყალს გლეხს ეს არაყი რომ არ ჰქონოდა შიმშილისაგან უფრო ადრე დალევდა სულს. ლოთი სვამს და სვამს გაუჩერებლათ, საჭმელი მისთვის უსარგებლოა; ამისთვის რომ მისი კუჭი ვეღარ ინელებს მეტს, და რომ იმუშაოს, იმისთვის მუშა თავის სიცოცხლეს, თავის თავს სწირავს არაყს. არაყი რომ საზრდო არ არის, ეს დიდი ხანია იციოდნენ, მაგრამ დიდი ხანი არ არის, რაც შეიტყვეს, რომ არაყს რამე რიგათ საჭმლის მაგიერობა შეუძლია, ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ რა მიზეზის გამო არის არაყი საჭმლის შემნახავი.

მაგრამ სამწუხაროთ ეს გადაცვლა არ უა-

იანთი მძიმე ცუდი და საზარალო; იმას მიწრაფილთ მაჭკავს კაცის სატანჯვე სამა-რისკენ.

*
* *

თუ ლოთობა ხალხში გავრცელებულია ის ამცირებს მუშა ხალხის სასწაულს, და ამ უბე-დურების მოსპობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც გავაუმჯობესებთ მუშა ხალხის მდგო-მარეობას და უმთავრით იმათ კარგ ფასიან სა-ჭმელებს, იმისთანას, რომ იმის შესარგებლათ საწყალ მუშას კიდევ არაყი არ გაუხდეს სა-ჭირო.

მუშა, რომელიც რჩება მარტო კარტოფი-ლით, კომბოსტოთი და ხახვით, მოუცილებ-ლათ უნდა დარჩეს ლოთად, ამისთვის, რომ ეს დარიბი საჭმელი არ კმარა ფშვინვისა და რაც ოფლი გამოუვა იმის სამაგიეროთ. როდესაც ის მუშაობას მოეიდებს ხელს, იმის ტანი დაიწყებს ღონობას და მას დარჩე-ბა მხოლოდ ერთი საშუალება: მიუბრუნდეს არაყს; იმის ადგილზედ რომ ერთი იმ პირთაგანი ყოფილიყო, რომელიც მრიელ გულ მხურვალეთ ქადაგებს, რომ ლოთობა არ კარგა, უნდა მოიშალოთო, პირველ, ის გახდებოდა საშინელი ლოთი. ლოთობის მოსასპობლად, თუ ეს უბედურება შეეხება მუ-შა ხალხს, ქადაგება და პირობის შეკვრა არაყს ნუ დავლევთო, ვერას იქმს; იმისთვის არიან საჭირონი ისეთი საზოგადოებანი, რომელ-ნიც ცდილობდნენ მუშა ხალხის საზრდოს გა-უმჯობესობას.

*
* *

### ლოთობის შედეგი

ლოთები კარგათ ვერც ინელებენ საზრდოს და რიგიანათ ვერც სჭამენ. ფერი ეცვლებათ, საშინლათ ბევრი ქონი უგროვდებათ, ისე რომ რაც უფრო ლოთია, იმდენათ უფრო ჩასუქე-ბულია, მაგრამ ეს ქონი სულ სნეულებათ ეძლე-ვა ტანში; ლოთს რომ შეხედო ქონისაგან გაბერილი გგონია; ტანის ნაწილი გაბერილს ჩამოგავს, ამნაირათვე ქონი გადაეკვრება გვერდს და გულს, გულის ცემა მრიელ ჩქარა მოქმედებს და დენის სისხლს ტყავში და იმას წმინდა ჭურჭლებს აგანიერებს. აი, ამის გამო ლოთი ყოველთვის ალის ფერათ არის წამოჭარხლებული. გულის სავრცე ქონის მოძა-ტების გამო შევიწროვდება, ფილტვები უფრო ნაკლებ ნახშირ-მჟავას ამოისუნთქავენ და ამის-თვის სისხლი ფერს კი არ იცვლის, რომე-ლიც არის დამძიმებული მძართაგასაგან, — არამედ მოლურჯო ფერს რომელიც უფრო შეეტყობა ლოთს, პირის სახეზე, ცხვირზე და ტუჩებზე. მაგრამ ლოთობა ამას გარდა სხვა ნაირათაც ღუპავს კაცის ტანს: იმის შემდეგ ამოჩნდება ტვინის მძოვების დარღვევა, ლოთის ხელი და ფეხი დაუწყებს კანკალს, იმის სუ-ლიერ საშინელი სპირტის სუნი მოეცემა (ლო-თის პირიდან მუდამ არაყის სუნი ამოდის) რო-მელიც შემდეგ ოფლსაც შეერევა და ბოლოს მთელ ტანსაც თითქოს სპირტი ასდის ოხ-შივრათაო, ასე რომ მართლა იყო შემთხვევა-ები, როცა ანთებულ სანთელს მიუახლოვებ-დენ ლოთის ტანს, იმას უცებ მოედებოდა ლურჯი ალი და უბედური ცოცხლათ დაი-წვოდა. უმეტეს ნაწილათ ლოთებს დამბლა დაეცემათ ხოლმე და იმით კვდებიან, ზოგ-ჯერ თეთრი ხურვებაც მოუვლით, შეიშლე-ბიან და ამ მდგომარეობაში დალევენ სულსა.

*
* *

აი, ამასთანა უბედურება მოსდევს უზომოთ არაყის სმას, ამისთვის ვურჩევთ იმათ, რომელთაც სჩვევიათ არაყით მადის გაღვიძება, რომ ძა-ლიან გაუფრთხილდენ ამ წამლის ხმარებას. ვინც თავის თავს ყურადღებას აქცევს, იმას კარგათ შეუძლიან შეიტყოს, როდის არის იმისთვის ცოტა არაყი წამლათ გამოსადეგი, და ამისთანა მოხმარებას რასაკვირველია არც ერთი კეთილ-სვინდისიანი კაცი დანაშაულო-ბათ არ ჩაუთვლის.

ძალიან ძნელია, რომ კაცმა ამგვარი ზო-მიერება ბოლომდის შეინახოს. ვის არ გა-გიგონიათ არაყის თაყვანის-მცემლების აღტა-ცებული მახილი, «სვამს და არ თვრებაო», მაგრამ ეს ძალიან სუსტი ზომაა: უფრო კარგს საზომავს, კიდრე ლოთობას გვიჩვენებს ჩვენ კუჭი; სანამდისინ კუჭს შეუძლია უარყოფოთ პუ-რის და ღვინის, ან ქონის მონელება, მანამ-დის საშიში დიდი არაფერია მაშინაც არა-ფერია საშიში, როცა ერთ კარგ მიქან საჭმელს ჩაჩხს დაყოლებ მოზრდილს სტაქანს არაყს. მაგრამ როდესაც პურისა და ღვინის შემდე-გაც არაყი მოეწონება საჭმელებით ჭხდება, მაშინ კი ღმერთმა შეინახოს. კუჭი იმდენათ დარღვეული აქნება კაცს, რომ არაყის სმის მაგიერათ ექიმთან გაიწიოს და აწამლებინოს, ის ურჩევნია.


ენფიანჯიანცის წიგნების მაღაზიაში იყიდება:

**ჩონგური**

ლექსების კრება ნ. ბარათაშვილისა ილ. ჭავჭავა-ძისა, აკ. წერეთლისა და სხვათა.

ფასი ერთი მანეთი

**საქართველოს ისტორია**

შედგენილი თეიმურაზ ბატონიშვილისა

ფასი ერთი მანეთი

ალადათოვის მაღაზიაში იყიდება:

**ბავშვების მოვლა**

დარიგება ყმაწვილების შენახვისა თხზულება ინ-გლისის კოროლევის დოქტორის კომბისა.

ფასი ათი შაური


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Января 1871* დუბლიანის (გ. წერეთლის და ამხ.) სტამბა რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი